

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 მოწვევის
სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის
დღის წესრიგის პროექტი

1. 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულების ცვლილება
დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის ნაწილში;

ზურაბ გოგშელიძე
ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი
29.05.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის
არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის
სხდომის
ოქმი № 5

ქ. თბილისი 30/05/2023

19⁰⁰ სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მერი კაპანაძე
2. გიორგი ოქიტაშვილი
3. ზურაბ გოგშელიძე
4. აკაკი მიქაბერიძე
5. მირანდა მიქაძე
6. პავლიკა ჯაგუნავა
7. ვალერი არღუთაშვილი

2023 წლის 30 მაისს, 19:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 211-ე აუდიტორიაში გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეხუთე სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - მერი კაპანაძემ, რომელმაც კომისიას წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

დღის წესრიგის პროექტი

1. 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულების ცვლილება დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის ნაწილში;

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

შესაბამისად, წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს კომისიამ კენჭი უყარა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულების ცვლილება დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის ნაწილში;

1. 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულების ცვლილება დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის ნაწილში:

კომისიის თავმჯდომარემ, მერი კაპანაძემ კომისიის წევრებს მოუწოდა კიდევ ერთხელ განეხილათ დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესი და გაემატივებინათ, რათა დამკვირვებლებს მეტად შემლეობდათ მოკლე დროში რეგისტრაციის გავლა და დაკვირვების განხორციელება.

წარმოდგენილი წინადადების მიხედვით, დამკვირვებელ ორგანიზაციას მხოლოდ ამონაწერის წარდგენის ვალდებულება უნდა ჰქონოდა, ხოლო გარკვეული შემთხვევების გათვალისწინებით, ცესკო იტოვებს უფლებას მოსთხოვოს ორგანიზაციას წესდების სანოტარო წესით დამოწმებული წესდების წარდგება და განხილვის შემდგომ რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღება.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდა 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულების ცვლილება დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის ნაწილში განკარგულების შესაბამისი დანართის მიხედვით.

კომისიის თავმჯდომარე  რი კაპანაძე

კომისიის მდივანი

A handwritten signature in black ink, appearing to be 'ზურაბ გოგუელიძე', written over a horizontal line.

ზურაბ გოგუელიძე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N17

2023 წლის 30 მაისი

ქ.თბილისი

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა და მათი წარმომადგენლების, მედია საშუალებებისა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ“ 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანების მე-40 მუხლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 2020 წლის 23 იანვრის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ N014 დადგენილების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულებისა (შემდგომში - „საარჩევნო დებულება“) და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში - „ცესკო“) 2023 წლის 11 მაისის „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ N1 განკარგულების (შემდგომში - „რეგლამენტი“) შესაბამისად ცესკო ადგენს:

მუხლი 1

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა და მათი წარმომადგენლების, მედია საშუალებებისა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ“ 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულებაში ცვლილება შევიდეს დანართის შესაბამისად.


მუხლი 2

წინამდებარე განკარგულება შესასრულებლად სავალდებულოა გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე



მერი კაპანაძე

კომისიის მდივანი



ზურაბ გოგშელიძე

დანართი


„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა და მათი წარმომადგენლების, მედია საშუალებებისა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ“ 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუხლი 1. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა და მათი წარმომადგენლების, მედია საშუალებებისა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ“ 2023 წლის 13 მაისის N11 განკარგულებაში ცვლილება იქნეს შეტანილი შემდეგი სახით:

1.დამკვირვებელ ორგანიზაციათა და მათ წარმომადგენელთა რეგისტრაციას დაემატოს და ჩამოყალიბდეს „დ“ ქვეკატეგორიაში შემდეგი სახით:

„დ) დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაციისას, ორგანიზაციას შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ განახლებული ამონაწერი (რომელიც უნდა მომზადდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ), ხოლო ცესკო უზრუნველყოს ორგანიზაციის დამკვირვებლად რეგისტრაციას დადგენილი მოთხოვნის/ების დაკმაყოფილების შემთხვევაში; ცესკო იტოვებს უფლებას აუცილებლობის შემთხვევაში ორგანიზაციას დამატებით მოსთხოვოს წესდების წარმოდგენა და ისე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.“

კომისიის თავმჯდომარე



მერი კაპანაძე

კომისიის მდივანი



ზურაბ გოგშელიძე

